

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ტარიელ მამედოვის ქალაქი
მარნეულის მოსახლეობასთან შეხვედრის

ოქმი N1

ქ. მარნეული

25.09.2019 წელი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები:ნადირ გულიევი,მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე,ტარიელ მამედოვი

სხდომას ესწრებოდა- ქალაქი მარნეულის მოსახლეობა,ასევე მარნეულის მაჟორიტარის პარლამენტის წევრის თამაზ ნავერიანის ბიუროს უფროსი აგილ ამირჯანოვი,მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან,მედიასთან,არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების უფროსი ია ესებუა,მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე ანარ გადიმოვი მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან,მედიასთან,არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების სპეციალისტები თამუნა ჩაჩანიძე და არჩილ მდივნიშვილი

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,ქალაქი მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატის ნადირ გულიევის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ქალაქი მარნეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა ნადირ გულიევმა,მარნეულის მოსახლეობას წარუდგინა 2019 წლის ანგარიში. საკრებულოს წევრი შეეხო მარნეულის 2019 წელს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს.აღინიშნა,რომ მიმდინარე წელს ქალაქ მარნეულში განხორციელდა იუსტიციის სახლის ტერიტორიის რეაბილიტაცია,26 მაისის ქუჩაზე ტროტუარების მოწყობა,ქალაქ მარნეულის ქუჩებში და დარჩენილ ჩიხებში გარე განათების მოწყობის სამუშაოები შესრულდა,წმინდა გიორგის ტაძრამდე ბეტონის გზის მოწყობა,ქ. მარნეულში N1

სამხედრო დასახლებაში N5 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გამაგრება (დარჩენილი სამუშაოები), ქალაქ მარნეულში ქობულეთის ქუჩაზე სკვერის რეაბილიტაცია, სამხედრო დასახლებაში ტრენაჟორების მოწყობა, ქალაქ მარნეულის N4 საჯარო სკოლაში სახურავის რეაბილიტაცია, გათბობის სისტემის მონტაჟი და შიდა კარების მოწყობა, ქალაქ მარნეულის N6 საჯარო სკოლაში საპირფარეოს და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები ჩატარდა.

აზრი გამოთქვას: მოსახლეობამ ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც აწუხებს ქალაქი მარნეულის მოსახლეობას. ჩამოთვლილი პრობლემებიდან ერ-ტე-ესის დასახლების მაცხოვრებელთათვის ყველაზე აქტუალურია ნესტიანობის მოწესრიგება (სახურავი გამოცვალეს და გვერდებზე გადასული არ არის, რის გამოც წვიმის დროს წყალი პირველ სართულის კედლებს ასველებს და სულ სინესტეა), სახურავების გამოცვლა (კორპუსის სახურავი გაფუჭებულია, წყალი ჩადის), ეზოს მოასფალტება-მოწყობა, ფასადების გარემონტება. სასმელი წყლის რეაბილიტაცია (შიდა ქსელი ცუდ მდგომარეობაშია, ცუდი ხარისხის წყალი მოდის), უბანში ნაგვის ურნების დადგმა, საბავშვო ბაღი (კორპუსის პირველ სართულზე ბაღის მოწყობა უნდათ. მუნიციპალიტეტის საკუთრებაა), კორპუსების ფასადის მოწესრიგება-შეღებვა.

ეს-ემ-პეს დასახლების მოსახლეობის პრიორიტეტების ჩამომონათვალი – მისასვლელი გზის მოასფალტება, ნაგვის ურნების ჩადგმა (ნაგვის ურნებიდან რამდენიმე გაფუჭებულია და მანქანა მათთან არ მიდის), სახურავების რეაბილიტაცია (4 ბარაკია-ადრე რკინიგზის იყო. სახურავიდან წყალი ჩადის. ეს ბარაკები სახელმწიფო საკუთრებაა და სასმელი წყლის ინდივიდუალურ გამრიცხველიანებაზე შეიძლება პრობლემა შეიქმნეს), საბავშვო სათამაშო მოედნის მოწყობა და მინი სტადიონი.

მოედნის ტერიტორიაზე დასახლებული მოსახლეობის პრიორიტეტების ჩამონათვალი – სარწყავი წყლის რეაბილიტაცია (სარწყავი არხების გაწმენდა), შიდა გზების მოასფალტება (მოასფალტება-ჯავახიშვილის III შესახვევში), ნაგვის ურნების დადგმა (ჯავახიშვილის ქუჩაზე ნაგავსაყრელის დასუფთავება და ურნების დადგმა), ტრამპლინის გაკეთება (ქობულეთის და 9 აპრილის ქუჩებზე, ტრამპლინებია საჭირო ბავშვები თამაშობენ ქუჩაში; ფიროსმანის ქუჩაზე; ჯავახიშვილის ზემო ნაწილი-სასაფლაოს შემდეგ), სასმელი წყლის რეაბილიტაცია (რუსთაველის ქუჩის დასაწყისში-სოკარის წინ ჭა არის დაბინძურებული და მოსაწესრიგებელია).

ჯანდარის დასახლების მოსახლეობის პრიორიტეტებია – სარწყავი წყლის რეაბილიტაცია (არხები ყოველ წელს იწმინდება მაგრამ ისევ გასაწმენდია, არხები

კაპიტალურად არის გასარემონტებელი და მოსაწყობი),საბავშვო ბაღი (ჯანდარში საერთოდ არ არის ბაღი,400 ოჯახია დაახლოებით),გზის პირას მინი სტადიონის რეაბილიტაცია,დიდი სტადიონის რეაბილიტაცია-შემოღობვა და გასახდელების მოწყობა.

გადაწყვეტეს: მოსახლეობამ დადებითად შეაფასა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,ქალაქი მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატის ნადირ გულიევის გაწეული მუშაობის ანგარიში.